უცხოელი სტუდენტებისა და უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების დინამიკა საქართველოში

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #142 07.03.2023

ბოლო წლებში მსოფლიოში შესამჩნევად იზრდება უცხოელი სტუდენტების რაოდენობა და, შესაბამისად, იზრდება მათი კონტრიბუციაც მასპინძელი ქვეყნების ეკონომიკაში.[1] PMC კვლევითი ცენტრის კვლევის თანახმად,[2] საქართველოში 2020-2021 სასწავლო წელს, ჯამურად, უცხოელ სტუდენტებს, მათ უცხოელ მეგობრებსა და ოჯახის წევრებს 132 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ცხოვრების ხარჯი ჰქონდათ გაწეული. შესაბამისად, საქართველოში განათლების სექტორის ზრდის ხელშესაწყობად, მნიშვნელოვანია უცხოელი სტუდენტებისა და უცხოენოვანი პროგრამების დინამიკის გაანალიზება. აქედან გამომდინარე, ამ გამოცემაში განხილულია საქართველოში უცხოელი სტუდენტების დინამიკა და მათი ფინანსური კონტრიბუცია ქვეყნის განათლების სექტორში.



წყარო: ემისი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

ბოლო წლებში საქართველოში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. 2013-2014 აკადემიური წლიდან 2022-2023 აკადემიური წლის ჩათვლით, მათი რაოდენობა 3,508-იდან (27 ქვეყნიდან) 20,690-მდე (80 ქვეყნიდან) გაიზარდა, ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა კი 22.3% შეადგინა.

საანალიზო პერიოდში, ასევე, შესამჩნევად გაიზარდა უცხოელი სტუდენტების წილი საქართველოში ჩარიცხული სტუდენტების საერთო რაოდენობაში - 2.9%-დან 12.6%-მდე.

იუნესკოს მიხედვით, უცხოელი სტუდენტების რაოდენობის დინამიკის სხვა ქვეყნებთან შედარებისას ჩანს, რომ საქართველოში უცხოელი სტუდენტების მობილობის მაჩვენებელი გაზრდილია.[3] ეს იუნესკოს ინდიკატორი აჩვენებს, ქვეყანაში ჩარიცხული სტუდენტების საერთო რაოდენობის რა წილს შეადგენენ უცხოელები. 2015-2021 წლებში საქართველოში უცხოელი სტუდენტების მობილობის მაჩვენებელი 3.7-დან 9.1 ქულამდე გაიზარდა. ამ მაჩვენებლის მიხედვით 2021 წელს საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის პირველ ადგილს იკავებდა.[4]

უცხოელი სტუდენტების რაოდენობის დინამიკის ანალიზი მათი ეთნიკური კუთვნილების მიხედვით აჩვენებს, რომ 2013-2014 სასწავლო წლიდან 2016-2017 სასწავლო წლებში საქართველოში უცხოელ სტუდენტებს შორის ყველაზე მეტი იყო აზერბაიჯანელი (საშუალოდ 32%). თუმცა აზერბაიჯანელი სტუდენტების წილი 2017-2018 წლებიდან, 2022-2023 წლების ჩათვლით, საგრძნობლად შემცირდა. ამ პერიოდში კლების წლიური ტემპი იყო -22%.

ამავე დროს, 2017-2018 წლებიდან, 2022-2023 წლების ჩათვლით, საგრძნობლად გაიზარდა ინდოელი სტუდენტების რაოდენობა. უფრო ზუსტად კი ამ პერიოდში ინდოელი სტუდენტების წილი გაიზარდა 24 პროცენტული პუნქტით (პპ-ით) და შეადგინა 47%.

აღსანიშნავია, რომ საანალიზო პერიოდში ასევე, მნიშვნელოვნად გაიზარდა იორდანიელი სტუდენტების რაოდენობა. 2013-2014 აკადემიური წლიდან 2019-2020 აკადემიური წლის ჩათვლით, საქართველოს უნივერსიტეტებში არცერთი იორდანიელი სტუდენტი არ სწავლობდა. თუმცა 2022-2023 აკადემიურ წელს მათი რიცხვი შეადგენს 1,442-ს, რაც სიდიდით მეორე მაჩვენებელია ქვეყნების მიხედვით უცხოელი სტუდენტების განაწილებაში.



წყარო: ემისი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები



წყარო: ემისი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

იმისათვის, რომ უკეთ დავინახოთ უცხოელი სტუდენტების სწავლის დინამიკა საქართველოში, უნდა გავაანალიზოთ მათი გადანაწილება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. წილი იმ სტუდენტებისა, რომლებიც სწავლობენ მედიცინის, ჯანდაცვის, ფარმაცევტიკისა და სტომატოლოგიის პროგრამებზე, 2013-2014 აკადემიური წლიდან 2022-2023 აკადემიური წლისთვის საგრძნობლად, 35 პპ-ით გაიზარდა და 88%-ს მიაღწია. ამ კატეგორიის წილი ყოველწლიურად იზრდება, განსაკუთრებით შესამჩნევად კი ის 2017-2018 სასწავლო წლიდან 2018-2019 სასწავლო წლისთვის გაიზარდა (17 პპ-ით).

ამავე დროს, წილი უცხოელი სტუდენტებისა, რომლებიც სწავლობენ ბიზნესის, მართვისა და სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებზე, 2013-2014 სასწავლო წლიდან 2016-2017 სასწავლო წლისთვის გაიზარდა. თუმცა 2017-2018 სასწავლო წლიდან ამ კატეგორიის სტუდენტების წილმა შემცირება დაიწყო და 2022-2023 სასწავლო წლის მდგომარეობით 4%-ს შეადგენს. ამ კატეგორიის შემცირება ყველაზე შესამჩნევი იყო 2018-2019 სასწავლო წელს (11 პპ-ით). გარდა ამისა, შემცირდა წილი უცხოელი სტუდენტებისა, რომლებიც სწავლობდნენ სოციალურ, ბიჰევიორისტულ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებსა და ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამებზე. ამ კატეგორიაში 2013-2014 სასწავლო წლიდან 2022-2023 სასწავლო წლისთვის მაჩვენებელი 12%-იდან 2%-მდე დაეცა.

უნდა აღინიშნოს, რომ საანალიზო პერიოდის განმავლობაში, ყოველწლიურად მოთხოვნა უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე ნაკლებად დივერსიფიცირებული ხდებოდა და ჩარიცხვები სამედიცინო მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებზე იზრდებოდა, რაც ძირითადად ინდოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდითაა განპირობებული, რადგან მათი უმეტესობა სწორედ ამ პროგრამებზე სწავლობს.

უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზარდა საქართველოს უნივერსიტეტებში უცხოენოვანი სასწავლო პროგრამების რაოდენობაც.

მაგალითად, 2013-2014 აკადემიური წლიდან 2022-2023 აკადემიური წლისთვის უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა 61-დან 183-მდე გაიზარდა. მათგან უმეტესობა ინგლისურენოვანია (158), ხოლო 19 რუსულენოვანი. 2013-2014 სასწავლო წლიდან 2022-2023 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო პროგრამების რაოდენობა 34-დან 91-მდე, სამაგისტრო პროგრამები 13-დან 46-მდე, ხოლო სადოქტორო პროგრამები 6-დან 13-მდე გაიზარდა. ასევე აღსანიშნავია, რომ ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამების რაოდენობა 8-დან 33-მდე გაიზარდა. ხოლო უნივერსიტეტების რაოდენობა რომლებიც სტუდენტებს უცხოენოვან საგანათლებო პროგრამებს სთავაზობენ 11-დან 34-მდე გაიზარდა.

2022-2023 აკადემიურ წელს, წინა წელთან შედარებით, პროგრამების რაოდენობის ზრდა შესამჩნევია ყველა აკადემიურ საფეხურზე, დოქტორანტურის გარდა, რომლის რაოდენობაც იგივე დარჩა.



წყარო: ემისი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

2022-2023 სასწავლო წელს იმ უცხოენოვან პროგრამებზე, რომლებზეც უცხოელი სტუდენტები სწავლობენ, პროგრამების 29% - მედიცინასთან დაკავშირებულ პროგრამებზე მოდის; ბიზნესზე, მართვასა და სამართალზე - 20%; სოციალურ, ბიჰევიორისტულ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებსა და ხელოვნებაზე - 21%; სხვა პროგრამებზე - 30%. ამ პროგრამებზე უცხოელი სტუდენტები შემდეგნაირად არიან გადანაწილებულები: 88% მედიცინასთან დაკავშირებულ პროგრამებზე სწავლობს; ბიზნესზე, მართვასა და სამართალზე - 4%; სოციალურ, ბიჰევიორისტულ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებსა და ხელოვნებაზე - 2%; სხვა მიმართულებებზე - 6%. ამრიგად სტუდენტების განაწილება მიმართულებებზე არათანაბარია.



წყარო: ემისი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

2013-2014 სასწავლო წლიდან 2022-2023 სასწავლო წლისთვის საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებზეც სწავლობენ უცხოელი სტუდენტები, საშუალო გადასახადი 4,300 ლარიდან 9,400 ლარამდე გაიზარდა. საშუალო გადასახადის წლიური ზრდის მაჩვენებლებმა 9% შეადგინა.

მიუხედავად იმისა, რომ სწავლის გადასახადი გაიზარდა ლარში 2013-2021 წლებში, დოლარში გადასახადი არ გაზრდილა. ამრიგად, ლარში სწავლის გადასახადის ზრდა მეტწილად განპირობებული იყო ლარის გაუფასურებით. თუმცა 2022-2023 სასწავლო წელს, სწავლის საფასურის ზრდის ტემპმა დოლარში გადააჭარბა სწავლის საფასურის ზრდის ტემპს ლარში. ლარში საშუალო სწავლის საფასური 14%-ით გაიზარდა, დოლარში კი - 30%-ით.

2022-2023 სასწავლო წელს, უცხოენოვან პროგრამებს შორის ყველაზე მაღალი ფასი ჰქონდა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას (37000 ლარი). შედარებისთვის, 2013-2014 წლებში ყველაზე მაღალი ფასი საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამაზე ფიქსირდებოდა (8150 ლარი).

უცხოელი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურის მთლიანი ოდენობა და მისი წილი განათლების სექტორის მშპ-ში 2013-2014 სასწავლო წლიდან სტაბილურად იზრდება.

2013-2014 სასწავლო წლიდან 2022-2023 სასწავლო წლისთვის უცხოელი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურის ჯამური ოდენობა 14 მილიონი ლარიდან 260 მილიონ ლარამდე გაიზარდა, საშუალო წლიური ზრდის ტემპმა კი 39% შეადგინა. სწავლის საფასურის მთლიანი ოდენობის ზრდა არ ყოფილა ისეთი შესამჩნევი დოლარში, როგორიც ლარში. საანალიზო პერიოდში გადახდილი სწავლის საფასურის ჯამური ოდენობა დოლარში 8 მილიონი აშშ დოლარიდან 89 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო საშუალო წლიური ზრდის ტემპმა 32% შეადგინა.

სწავლაში გადახდილი თანხის მოცულობის ზრდასთან ერთად მისი წილიც განათლების სექტორის მშპ-შიც სტაბილურად იზრდებოდა. 2013-2014 სასწავლო წლიდან 2021-2022 სასწავლო წლისთვის წილი 1.1%-დან 7.3%-მდე გაიზარდა. მთლიანი შიდა პროდუქტის მხრივ, იმავე პერიოდში წილი 0.05%-დან 0.30%-მდე გაიზარდა.



წყარო: ემისი, საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

საერთო ჯამში, ბოლო დროს უცხოელი სტუდენტების ინტერესი საქართველოში სწავლის მიმართ სწრაფად იზრდება. ამ გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე, ქართულმა უნივერსიტეტებმა დაიწყეს უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობის გაზრდა. უცხოელი სტუდენტების მზარდ რაოდენობასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა მათი ფინანსური წვლილი ქართულ უმაღლეს განათლებაშიც. თუმცა გაზრდილი ინტერესი უფრო ჰომოგენური ხდება და სტუდენტების დიდი უმეტესობა ირჩევს სამედიცინო პროგრამებს. სამედიცინო სფეროს მიმართ გაჩენილმა დამოკიდებულებამ, შესაძლოა, გარკვეული გამოწვევები შექმნას მომავალში. ამის გათვალისწინებით, საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო სისტემამ მეტი ძალისხმევა უნდა მიმართოს სხვადასხვა ქვეყნიდან სტუდენტების მოსაზიდად, ასევე, მედიცინის გარდა სხვა აკადემიურ სფეროების მიმართაც უნდა გაზარდოს უცხოელი სტუდენტების ინტერესი.

1. წყარო: http://data.uis.unesco.org/.
2. წყარო: https://migration.commission.ge/files/bmp_22_students_ge.pdf.
3. წყარო: http://uis.unesco.org/en/glossary-term/inbound-mobility-rate.
4. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, უკრაინა და ბელარუსი (2021 წლის ივნისის შემდეგ ბელარუსს აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნის სტატუსი შეჩერებული აქვს).

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2020	2021	2022 I კვ.	2022 II კვ.	2022 III კვ.	2022 IV კვ.
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	15 842.9	18 629.4	4 597.5*	5 870.4*	6 829.9*	-
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 255.7	5 023.2	1 246.4*	1 591.5*	1 851.6*	-
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	-6.8%	10.5%	15%*	7.2%*	9.8%	-
ინფლაცია	5.2%	11.8%	13.2%	13%	12.7%	10.3%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	589.0	1 241.8	576.9*	353.4*	745.3*	-
უმუშევრობის დონე (%)	18.5%	20.6%	19.4%	18.1%	15.6%	16.1%
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	7 535	8 205	8 082	7 784	7 182	7 982
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	19.7%	18.9%	-	-	-	-

*წინასწარი

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

სოფო ბასილიძე
მკვლევარი
s.basilidze@pmcginternational.com

შოთა მაჭარაშვილი
კვლევითი ასისტენტი
sh.matcharashvili@pmcginternational.com

დალი წაქაძე
კვლევითი ასისტენტი
d.tsakadze@pmcginternational.com